პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიური გამოცემა 6

კომუნისტი

სსრ კ. პ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს ორგანო

ტელეფონები: რედ.-ტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—12, სამდივნოს—10—53, მთ. კონტორის—6—91

ხუთშაბათი
26
აპრილი
1934 წ.
№ 96 (3952)

დღეს ნომერში

ამერიკის პრესა განაბრძოებს იაპონიის დეკლარაციის მკაცრ კრიტიკას.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლონეთში.

ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტის მანევრები.

— საფრანგეთმა უარყო განიარაღების ინგლისის და იტალიის გეგმა.

— გრანდიოზული ხანძარი ჩანჭუნის აეროდრომზე

— გერმანიის აეროსტატის ავარია.

— საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება მოწყაფეებისა და პიონერების საზოგადოებრივ-პოლიტიკური დავალებების და დატვირთვის შესახებ.

— საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება არაშავნიადაბიანი ზოლის იმ კოლმეურნეობათა შეღავათების შესახებ, რომლებიც ჯამირს ხნავენ.

— ესხსის გაშრცელების პირველ ხუთდღეში განაღდებულია 2,6 მილიარდის მანეთის ობლიგაციები.

საწვავის გადახარჯვას გბოლო უნდა მოეღოს

სოციალისტურ მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე მიცემულ დავალებათა შესრულება დიდად არის დამოკიდებული საწვავი მასალის ჯანსაღი ბალანსისაგან. ამიტომ ამ მასალის ხარჯვა მოჭირნეობით წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საბრძოლო ამოცანას.

სამწუხაროდ ეს ელემენტალური მოშმარიტება ჯერ კიდევ სათანადოდ არა აქვს შეგნებული ზოგიერთ ჩვენს მუშაკს, განსაკუთრებით, სოფლად. ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალა მთელი რიგი სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში საწვავი მასალის დანაშაულებრივი გადახარჯვის ამსახებ. არის საკავშირო მთავრობის კატეგორიული მითითება საწვავის ხარჯვის შესახებ ტრაქტორით მუშაობის დროს; არსებობს საწვავის გარკვეული ნორმები ცალკე სისტემის ტრაქტორებისათვის; იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ნიადაგის პირობები; არის კანონი საწვავის გადახარჯვისათვის დაძაბავეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მიუხედავათ ყოველივე ამისა დღემდე გრძელდება დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა საწვავი მასალის გადახარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ლაგოდეხის სამანქანო - სატრაქტორო სადგურში მინდერის **სამუშაოთა** დაწყებიდან 14 აპრილამდე გადახარჯულია 9.000 კილოგრამზე მეტი ნავთი. **ლანჩხუთის** სამანქანო-სატრაქტორო სადგურში კ. **კოკეძის** ბრიგადა ტრაქტორით ერთი ჰექტარის მოხვნაზე ნორმით გათვალისწინებულ 27 კილოგრამის ნაცვლად ხარჯავს 40 კილოგრამზე მეტ საწვავს. **გორის** სამანქანო - სატრაქტორო სადგურში ტრაქტორები გაჩერებულია იმის გამო, რომ სისტემატიური გადახარჯვის გამო ვადამდე ამოწურეს საწვავის ლიმიტი. საწვავის გადახარჯვის აღმაშფოთებელ ფაქტებს განსაკუთრებით აღგილი აქვს **ლაგოდეხის, ხენაკის, ახალციხის. ყარაიას, ბორჩალოს და გურჯაანის** სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში.

საწვავის სისტემატიური გადახარჯვა იმის შედეგია, რომ ამ საქმეს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიც, პოლიტგანყოფილებები და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები.

საწვავის გადახარჯვას იწვევს ის გარემოება, რომ ხშირად ტრაქტორებს სამუშაოდ გზავნიან დაზიანებული მოტორებით და შეუკეთებელი აგრეგატებით, რაც ყოველად დაუშვებელია. სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები კი ნაცვლად იმისა, რომ იბრძოლონ ტრაქტორის წესიერი შეკეთების, მისი ყოველმხრივ წესრიგში მოყვანის და საწვავის ეკონომიისათვის, დისკუსიებს მართავენ იმის შესახებ, რეალურია თუ არა საწვავი მასალის დაწესებული ნორმები.

ფაქტები ამტკიცებენ, რომ სადაც ბრძოლა საწვავი ეკონომიისათვის სწორად არის დაყენებული, იქ ტრაქტორების მუშაობის დროს საწვავი იხარჯება ნორმით გათვალისწინებულზე უფრო ნაკლები რაოდენობითაც. იმავე ამბავს, სხვათა და ლაგოდეხის რაიონებში არიან ტრაქტორისტები, რომელნიც **ხვნის მაღალ ხარისხსაც იცავენ და საწვავის ხარჯვის ეკონომიასაც იძლევიან.**

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ყოველგვარი დავა საწვავის ხარჯვის ნორმების რეალობის შესახებ და მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები საწვავის გადახარჯვის აღსაკვეთად.

გარდა ამისა მიღებული უნდა იქნას მკაცრი ზომები საწვავი მასალის ქურდობის, მტაცებლობის და არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გაცემის აღსაკვეთად, რასაც ადგილი აქვს მთელ რიგ სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში. გულდასმით უნდა ჩატარდეს ნავთის ბაზათა გამგეების და ყველა იმ მუშაკთა გადასინჯვა, რომელთაც რაიმე საერთო აქვთ საწვავი მასალის განაწილებასა, დაცვასა, და გაცემასთან. პროკურატურამ და სასამართლოს ორგანოებმა უნდა ამხილონ და სჩვენებელი პროცესის საშუალებით დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც შემჩნეული იქნებიან უყაირათობასა და სხვა ბოროტმოქმედებებში.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, საწვავის გაცემის და ტრაქტორებით დავალებულ სამუშაოს **აღრიცხვის** სწორად დაყენებას.

მოწინავე სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში შემოღებულია ასეთი პრაქტიკა: **აჯილდოვებენ** იმ ტრაქტორისტებს, რომელნიც საწვავის ხარჯვაში მოშვირნეობას აღწევენ და **სჯიან** იმ ტრაქტორისტებს, რომელნიც საწვავის მომეშირნეობას არ იჩენენ. ამიტომ ამ მასალის ხარჯვა მოჭირნეობით წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საბრძოლო ამოცანას.

პოლონეთ-საფრანგეთის მოლაპარაკება

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარშავაში

ვარშავა, 23 აპრილი. პოლონეთის სააგენტო ინფორმირებენ: „საგარეო საქმეთა მინისტრად ბარტუ პატივსაცემად გამართა სადილი, რომელსაც სხვათა შორის დაესწრენ: ვიცე-მინისტრი **შემპეკი**, საფრანგეთის ელჩი **ონოში**, ფინანსთა მინისტრი **ზავადსკი** და სეიმის და სენატის სხვა საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარენი. ბეკმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც იგი მიესალმა მეგობრული მოკავშირე ქვეყნის — საფრანგეთის მინისტრს.

შეთანხმებანი, რომელნიც აღორძინებენ პოლონეთს და საფრანგეთს, — განაცხადა მან, — წარმოადგენენ ერთ-ერთ უძლიერეს სიცოცხლისუნარიან და ქედი ელემენტს საერთაშორისო პოლიტიკაში, ვინაიდან მათი ძირითადი მიზანი მშვიდობიანობის ორგანიზაცია და განმტკიცება. „ჩვენ — თქვა ბეკმა, — თქვენი ისხი ვესაძლებით სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც თვალსაჩინო პირად მონაწილეობას უღებულობდა 1921 წლის დიპლომატიურ აქტში, რამაც შექმნა ჩვენი კავშირის ელემენტები. თქვენი მოგზაურობა მოგცემთ შესაძლებლობას დაადასტუროთ, თუ რამდენად მართებული იყო ის ელემენტები, რომლებიც ეი, უკვე 13 წელია შეადგენენ ჩვენი პოლიტიკის საფუძველს. თქვენი სახით ჩვენ ვხედავთ ისეთ ადამიანს, რომელიც პოლონეთ-საფრანგეთის კავშირის ერთ-ერთ ქართველ ორგანიზატორს, ხოლო ჩვენ ვართ მისი მეგობრები და რწმენიერთები. პატივი ვეცით ბრძოლის ველებზე ერთად დაღვრილ სისხლს, რომელიც ერთად დაიღვარა

საბჭოთა კავშირში

ამხ. შმიდტი და უშაკოვი კვლავ ნომში არიან

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. შმიდტი და უშაკოვი კვლავ ნომში არიან და მოელიან ხელსაყრელ ამინდს, რომ გადაფრინდნენ ფერბენქსისაკენ, სადაც განაგრძობენ გზას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეჭიმის დასკვნით, ამხ. შმიდტის ჯანმრთელობა უფრო და უფრო უმჯობესდება.

სტალინგრადი გარშემორტყმულია ქინულებით

ბაბაროვსკი, 24 აპრილი. 22 აპრილს 20 საათზე „სტალინგრადი“ იმყოფებოდა 10 გრადუსის და 28 მინუტის სიგანედზე და 172 გრადუსის 1 წუთზე აღმოსავლეთ გრძედზე. გემი გარშემორტყმულია შემჭიდროებული ტროსიანი ყინულებით (ადს).

„სტალინგრადმა“ თავი დაალწია ყინულის ტყვეობას

ჟოსკოვი, 25 აპრილი „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი გემ „სტალინგრადის“ ჭიდან ატყობინებენ, რომ „სტალინგრადი“ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს ყინულებთან.

24 აპრილს ღამით მდგომარეობა გემის ოვრეულად შეიცვალა. გაჩნდა ნაპრალები. „სტალინგრადს“ მიეცა წინწყაფის საშუალება. ხანდახან გემის კორპუსი მძიმედ შეიპრებოდა ხოლმე ყინულის ველში. მაშინ საჭირო ხდებოდა მიგეგმართა ავთვისებისათვის. ყინულის წაშხვრევები ზედით ავარდებოდა, ყინულის ზოლები გადაბრუნდებოდა, განთავისუფლებული გემი კვლავ წინ მიიწევდა (ადს).

სურსათ-სანონვაზე და ქვანახშირი „კრასნინსათვის“

ბაბაროვსკი, 24 აპრილი. 26 აპრილს ვლადივოსტოკიდან გადის თბომავალი „სვირსტროი“ ტვირთით კამჩატკისათვის. იგი წაიღებს ადრიდან ქვანახშირის „კრასნინსათვის“ (ადს).

საშრახიანთის ავიაციის მინინაჩარის მოლოცვა ჩელუსკინელთა გადარჩენის გამო

ჯოსკოვი, 24 აპრილი. სსრკ. კავშირის რეკომენდაციით სპეციალურ სპეციალურ სპეციალურ

დამთავრდა კონკურსი საუკეთესო სავაგონო დეპოზე

პირველობა მიიღო ტფილისის დეპომ

კონკურსის შედეგები

კონკურსის ჟიურის დადგენილება

„კომუნისტის“ ინიციატივით საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე გამოცხადებული საგზაო კონკურსის მეორე ეტაპი — კონკურსი საუკეთესო სავაგონო დეპოზე — დამთავრდა.

პირველი კვარტალის შედეგები ცხადჰყოფს, რომ ა.-კ. რკინის გზის სავაგონო დარგის მუშაობა თანდათან უმჯობესდება, რომ კონკურსმა საუკეთესო სავაგონოდეპოზე, ამ მხრივ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი.

სახალხო ვაგონების შეკეთების გეგმა პირველ კვარტალში შესრულდა 103,5 პროც. (173 ვაგონის ნაცვლად შეკეთდა 179 ვაგონი) სატვირთო ვაგონების საშუალო შეკეთების გეგმა ითვალისწინებდა 629 ვაგონის შეკეთებას, ფაქტიურად კი შეკეთდა 661 ვაგონი (105,1 პროც.). შეუსრულებელი დარჩა დავალება ვაგონების მიმდინარე შეკეთების დარგში; ნორმით გათვალისწინებულ 325 სატვირთო ვაგონის ნაცვლად, მისი სადღეღამისო ნაშთი მთელს გზაზე უდრიდა 394,2 ვაგონს. ბუქსის წვის მიზეზით ვაგონების ახსნის რიცხვი საშუალოდ თვეში შეადგენდა 251-ს, რაც ოქტომბერთან (კონკურსის დასაწყისი) შედარებით იძლევა 229,9 პროცენტით შემცირებას (ოქტომბერში იყო 5 77 შემთხვევა).

როგორც აქედან ჩანს, სავაგონო დეპოების მუშაობის მთავარ ნაკლს შეადგენს მიმდინარე შეკეთების გეგმების შეუსრულებლობა და ვაგონების ახსნის შემთხვევათა სრულიად აღმოუფხვრის მიუღწეველობა.

მაგრამ, ამასთან ერთად, ცალკე სავაგონო დეპოების მუშაობას ემჩნევა სერიოზული გაუმჯობესება. მაგალითად, ტფილისის სავაგონო დეპომ, ისევე, როგორც წინა კვარტალში, ახლაც გვიჩვენა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის თანმიმდევრობითი ბრძოლის საუკეთესო ნიმუშები. მან წლიური შეკეთების სამგზავრო ვაგონების გეგმა 104,1 პროც. შეასრულა (73-ს მაგიერ შეაკეთა 66 ვაგონი) და მიმდინარე შეკეთების სატვირთო ვაგონების გეგმა შეასრულა 105,8 პროც. (სადღე - ღამისო ნაშთი 98-ის ნაცვლად უდრიდა 92,6 ვაგონს).

ბალაჯარის დეპომ, რომელიც ვაგონების გადამკვლელ პუნქტს წარმოადგენს და, რომლის მუშაობის მთავარ მაჩვენებელს შეადგენს ჩრდილოეთ - კავკასიის რკინისგზისათვის ვაგონების გადაცემა, პირველ კვარტალში იმდენად შესძლო მუშაობის გაუმჯობესება, რომ მისი წყალობით გზას უკვე აღარ უხდება ცუდათ შეკეთებულ ვაგონებისათვის გადახდა.

საკონკურსო ჟიური სავაგონო დეპოების მუშაობის შეფასებას უდგებოდა ბალური სისტემით. ამის მიხედვით ცალკე დეპოების მუშაობა შემდეგნაირად ხასიათდება: ბათომის დეპომ მიიღო ნიშანი — 187, სამტრედიისამ — 219, ხაშურისამ — 68, ტფილისისამ+62, განჯისამ — 186, ბალაჯარისამ+ 40, ბაქოსამ — 130,5 და ლენინაკანისამ — 921,5. ამგვარად, **კონკურსში პირველ ადგილზე გავიდა ტფილისის დეპო;** მეორეზე ბალაჯარის; მესამეზე ხაშურის, მეოთხეზე ბაქოს, მეხუთეზე ბათომის, მეექვსეზე სამტრედიის, მეშვიდეზე განჯის და მერვეზე ლენინაკანის.

ტფილისის დეპომ ვერ შესძლო საბოლოოდ აღმოეფხვრა სავაგონო კვარტალში მზეთავის მიზეზით ბუქსის წვის გამო ვაგონების ახსნა, მაგრამ მან ამ მხრივაც გვიჩვენა მტკიცე თანმიმდევრობითი ბრძოლის ნიმუში; თუ 1933 წ. მეოთხე კვარტალში სულ ტფილისის უბანზე აიხსნა 95 ვაგონი, ა. წ. პირველ კვარტალში ეს რიცხვი 56-დე შემცირდა. ტფილისის დეპოს მუშაობა ამ დარგში ცხადჰყოფს, რომ იგი შესძლებს მალე სრულიად მოსპოს ბუქსის წვა.

საუკეთესო დეპოზე გამოცხადებული საგზაო კონკურსის ჟიური, აღნიშნავს რა ტფილისის დეპოს ასეთ მუშაობას ადგენს:

1. ტფილისის სავაგონო დეპო ცნობილი იქნეს გამარჯვებულად საგზაო კონკურსში რომელიც ა.-კ. რკინისგზის დეპოებს შორის გამოვიდა პირველ ადგილზე. მიენიჭოს მას პირველი ჯილდო: გაზ. „კომუნისტის“ გადმოცემული ფიცილი დროშა და ფულადი პრემია ათი ათასი მანეთისოდენობით, საუკეთესო დამკვრელი მუშების, ინჟენერ - ტექნიკოსების და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად. ამავე ანიხიდან, მიეცეს ჯილდოს სახით თითო თითს ხელფასი დეპოს სამკუთხედს: უფროსს ამხ. **თხელიძეს,** პარტკოლექტივის მდივანს ამხ. **მინასოვს** და ადგილკომის თავმჯდომარეს ამხ. **დვალიძეს.**

2. ამასთან აღინიშნოს, რომ დეპოს მუშაობის შედეგი რემონტის ხარისხის მხრივ არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. მიეთითოს მთელ კოლექტივს, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად, რომ კიდევ უფრო გააჩაღონ ბრძოლა ხარისხისათვის, სავაგონო მეურნეობის საბრძოლო გავლანსაღებისათვის, სოც შეჯიბრების და დამკვრელობის უფრო მეტად გაშლის საფუძველზე.

გაფრთხილებული იქნას დეპოს კოლექტივი, რომ ამ პირობის მიუღწეველობა და ტემპების ოდნავი შენელებაც კი, გამოიწვევს დროშის ჩამორთმევას.

3. დეპოს სამკუთხედმა კიდევ უფრო მძლავრად მოჰკიდოს ხელი რკინისებური შრომის დისციპლინის დანერგვას და თავის ყოველდღიურ ამოცანათ დაისახოს:

ა) მეორე კვარტალში ბუქსის წვის მიზეზით ვაგონების ახსნის შემთხვევათა სავსებით აღმოფხვრა.

ბ) ვაგონების გამყოლთა და მზეთავთა მუშაობის საბოლოოდ გაუმჯობესება.

გ) სადისკიპლინო წესდების სრული დანერგვა დეპოს ყველა რგოლში.

საგზაო საკონკურსო ჟიურის თავმჯდომარე — ა.-კ. რკინისგზის სავაგონო დარგის უფროსი—დ. ბოგდანოვი.
წევრები: საგზაო პოლიტგანყოფილებიდან — გაბრიაძე.
საგზაო კომიტეტიდან—ა. ლუკაშევიჩი
გაზ. „კომუნისტის“ რედაქციიდან ა. კელენჯერიძე.

გოლოდე შევინარჩუნოთ დროშა

(ტფილისის სავაგონო დეპო).

ტფილისის სავაგონო დეპოს საუკეთესო მზეთავი ამხ. ქაპლენკო

ტფილისის სავაგონო დეპო მოწინავეა ა.-კ. რკინის გზის სავაგონო დეპოებს შორის. მან პირველი ადგილი დაიკავა სავაგონო დეპოების საგზაო კონკურსში, მიიღო პირველი ჯილდო—გაზეთ „კომუნისტის“ გადმოცემული წითელი დროშა.

ორი კვარტალის განმავლობაში იბრძოდა დეპო ამ დროშისათვის და კიდეც მიაღწია გამარჯვებას.

ტფილისის სავაგონო დეპომ გვიჩვენა საწარმოო დავალებათა შესრულების საუკეთესო ნიმუშები. დეპოებისათვის მთავარია მიმდინარე შეკეთების ვაგონების გეგმების შესრულება. ტრანსპორტი ყოველდღიურათ ასეულ ვაგონს მოითხოვს. ვაგონები ზიანდება გზაში, იხსნება უბნებზე, სავაგონო დეპოები ვალდებული არიან შესძლონ დღე-ღამის განმავლობაში ახსნილ ვაგონების შეკეთება და ხაზზე გაშვება. ხშირია შემთხვევა, რომ დეპოებს დიდძალი მიმდინარე შეკეთების ვაგონი აწყდება, ამიტომ არის, რომ დეპოებს ეძლევათ გარკვეული ნორმა მიმდინარე შეკეთების ავადმყოფ ვაგონების სადღეღამისო ნაშთის სახით.

დეპოების უმეტესობა ა.-კ. რკინის გზაზე ვერ ასრულებს ამ ნორმას. გამონაკლისს ტფილისის დეპო შეადგენს. მას პირველ კვარტალში მიცემული ქონდა ნორმად 98 მიმდინარე შეკეთების ვაგონი, მაგრამ ამ ნორმებსაც ახერხებდა დღე-ღამის განმავლობაში ნორმაზე ნაკლები ვაგონების რიცხვი ქონდა შეკეთებაში. სადღე-ღამისო ნაშთი 92,6 ვაგონს უდრიდა. ასევე იყო გასული წლის მეოთხე კვარტალშიც.

მეოთხე კვარტალში, შემოდგომა-ზამთრის გაძლიერებულ ტვირთზიდვის პერიოდში ამის გარდა დეპოების მთავარ დავალებას ვაგონების კონვენციური რემონტი შეადგენდა. ტფილისის დეპოს დავალებული ქონდა შეეკეთებია 70 ვაგონი, ფაქტიურად შეაკეთა 80.

პირველ კვარტალში დეპოს უნდა შეკეთებია 73 სამგზავრო ვაგონი, ფაქტიურად შეაკეთა 76 და ამასთან შესძლო 4 სანიმუშო სახალხო მატარებლის გამოშვება.

სავაგონო დეპოების მუშაობის

ტფილისის სავაგონო დეპოს დამკვრელი ინჟ. ამხ. ოტტო

ლების უკეთ შესასრულებლად. ვაგონები წამსვე ნაწილდება ბრიგადებს შორის, მუშები ჩაჰკირკიტებენ ყოველ მის ნაწილს და კიდეც ასრულებენ შეკეთების გეგმას.

ასე იყო ახლაც. აპრილი პირველი კვარტალის მიღწევათა განმტკიცების თვეც იყო გამოცხადებული. ტფილისის დეპოს დავალებული ქონდა მიეცა გზისთვის 24 შეკეთებული სამგზავრო ვაგონი. საამქროს ეს დავალება 25 აპრილისათვის შეასრულა და წამოაყენა შემხვედრი. 1 მაისისათვის მისცეს დამატებით 2 ვაგონი.

ასევე იბრძვიან გეგმებისათვის სატვირთო ვაგონების საამქროში. იქ მუშაობა დილის 8 საათზე უნდა დაიწყოს; ფაქტიურად კი შვიდზე იწყება. ამ დროს მოდის საამქროს უფროსი და პარტორგიც. იხილავენ დავალებას, ეცნობიან მას, ბრიგადიები ანაწილებენ ძალებს. სრულ რვა საათზე იწყება ფიზიკური შრომა. ყველა თავის ადგილზე დგება და ასრულებს დავალებას. დღე დამთავრდა, მუშები შინ წასვლამდე კვლავ იყრიან თავს და მსჯელობენ რა ნაკლ ქონდა ადგილი, ვინ ჩამორჩა, რატომ, რა აკლდათ და სად ხვენ ზომებს ნაკლის გამოსასწორებლად.

საამქროს ყავს თავის დამკვრელ ბრიგადები ხიზანაშვილის და **მაკარაშვილის.** ისინი არიან, რომ შრომის და გამარჯვების საუკეთესო მაგალითს აძლევენ დანარჩენებს. აპრილში საამქროს დავალება ქონდა შეეკეთებია 20 იზოთერმიული ვაგონი; ეს დავალება ვადამდე შეასრულეს და ამას გარდა ახლა 2 ვაგონს დამატებით უშვებენ საჰაერეელმაისოდ.

ეს მიღწევები შედეგია დეპოში პარტმასობრივი მუშაობის მოხერხებული დაყენების. პარტიულ ორგანიზაციის გარდაქმნამ გაუმჯობესება გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა, გაამაგრა შრომის დისციპლინა. მე-2 თვეა, რაც დეპოს საამქროებში ადგილი არ ჰქონია შრომის დისციპლინის დარღვევას. იშვიათია მზეთავების მიერ დისციპლინის დარღვევაც.

ყველაფერ ამან დეპოს გამარჯვება მოუპოვა. ტფილისის დეპო დღეს მოწინავეა, მაგრამ საწინააღმდეგო ნაწილები და მასალები, რომლებიც ჯულფაში არა აქვთ, მაგრამ იგი ამაზე არ ზრუნავს, და ჩვენ ოჭროთი ვუხდით სპარსეთს ვაგონების დეფექტებისათვის.

ლენინაკანს, რომელსაც წინათ მეორე ადგილი ეკავა, პირველ კვარტალში უკანასკნელი ადგილი უკავია. ახალმა უფროსმა **კიკნაძემაც** ჯერჯერობით ვერ შესძლო უბნის მუშაობის დაყენება ჯეროვან სიმაღლეზე.

საგრძნობლად შემცირდა ვაგონების მოხსნის პროცენტი, მაგრამ მზეთავები ცუდად არიან მომზადებულნი. ეს გამოირკვა მზეთავთა ტექბრძოლის დროს.

სამგზავრო მატარებლებს ვაგონებს მსინჯავები მხოლოდ მატარებლის გასვლის წინ ათვალიერებენ. ამხ. ერმაკოვი ცუდად უწევს ხელმძღვანელობას უბნის მუშაობას.

ლენინაკანში ამხ. პილიპენკოს მუშაობის დროს ეს უბანი მეორე ადგილზე იყო. როცა პილიპენკო ბაქოში გადავიდა, ხოლო ლენინაკანში დარჩა მისი მოადგილე **კოტლიაროვი,** საქმე ჩაშალა.

ვაგონებს რემონტიდან დიდი დეფექტებით უშვებენ და დეფექტებითვე აგზავნიან საზღვარზე. რემონტის ხარისხი ცუდია.

ჯულფაში ვაგონების ოსტატი უვარგისია. ლენინაკანის საწყობში მოიპოვება საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები, რომლებიც ჯულფაში არა აქვთ, მაგრამ იგი ამაზე არ ზრუნავს, და ჩვენ ოჭროთი ვუხდით სპარსეთს ვაგონების დეფექტებისათვის.

ლენინაკანს, რომელსაც წინათ მეორე ადგილი ეკავა, პირველ კვარტალში უკანასკნელი ადგილი უკავია. ახალმა უფროსმა **კიკნაძემაც** ჯერჯერობით ვერ შესძლო უბნის მუშაობის დაყენება ჯეროვან სიმაღლეზე.

საგრძნობლად შემცირდა ვაგონების მოხსნის პროცენტი, მაგრამ მზეთავები ცუდად არიან მომზადებულნი. ეს გამოირკვა მზეთავთა ტექბრძოლის დროს.

სამგზავრო მატარებლებს ვაგონებს მსინჯავები მხოლოდ მატარებლის გასვლის წინ ათვალიერებენ. ამხ. ერმაკოვი ცუდად უწევს ხელმძღვანელობას უბნის მუშაობას.

ლენინაკანში ამხ. პილიპენკოს მუშაობის დროს ეს უბანი მეორე ადგილზე იყო. როცა პილიპენკო ბაქოში გადავიდა, ხოლო ლენინაკანში დარჩა მისი მოადგილე **კოტლიაროვი,** საქმე ჩაშალა.

ვაგონებს რემონტიდან დიდი დეფექტებით უშვებენ და დეფექტებითვე აგზავნიან საზღვარზე. რემონტის ხარისხი ცუდია.

ჯულფაში ვაგონების ოსტატი უვარგისია. ლენინაკანის საწყობში მოიპოვება საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები, რომლებიც ჯულფაში არა აქვთ, მაგრამ იგი ამაზე არ ზრუნავს, და ჩვენ ოჭროთი ვუხდით სპარსეთს ვაგონების დეფექტებისათვის.

ტფილისის სავაგონო დეპო. დამკვრელი ზეინკალი ამხ. ბალიაშვილი

ბი განთავისუფლდა, ფრონტი გაიშალა, მუშაობის პირობებიც გაუმჯობესდა.

ახლა დეპოს სამგზავრო ვაგონების საამქროში 6 ბრიგადაა. ვეფხვებივით იბრძვიან ბრიგადები დავალებათა შესრულებისათვის. განსაკუთრებით **კოჭლაშვილის, ბალიაშვილის** და **მარტიროსოვის** ბრიგადები გამოირჩევიან აქ.

მათი მუშაობა დაუსრულებელი შრომის ენტუზიაზმის მაგალითია. აი მაგ. ჩამოაყენეს დეპოში შესაკეთებელი ვაგონები. ბრიგადები ლომებივით ეკვეთებიან მათ **კოჭლაშვილის** ბრიგადა **ბალიაშვილისას** იწვევს შეჯიბრებაში. ეს ორი კაცი „გადაკიდებულია“ ერთმანეთზე, ცხადია არა სამტროდ, არამედ დავალების შესრულებაში.

ბალიაშვილი ამხ. **პილიპენკოს**

მუშაობის დროს ეს უბანი მეორე ადგილზე იყო. როცა პილიპენკო ბაქოში გადავიდა, ხოლო ლენინაკანში დარჩა მისი მოადგილე **კოტლიაროვი,** საქმე ჩაშალა.

ვაგონებს რემონტიდან დიდი დეფექტებით უშვებენ და დეფექტებითვე აგზავნიან საზღვარზე. რემონტის ხარისხი ცუდია.

ჯულფაში ვაგონების ოსტატი უვარგისია. ლენინაკანის საწყობში მოიპოვება საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები, რომლებიც ჯულფაში არა აქვთ, მაგრამ იგი ამაზე არ ზრუნავს, და ჩვენ ოჭროთი ვუხდით სპარსეთს ვაგონების დეფექტებისათვის.

ტფილისის სავაგონო დეპოს ხამკუთხედი (მარცხნიდან მარჯვნივ): ადგილკომის თავმჯდომარე — **დვალიძე,** პარტორგი—**მინასოვი** და დეპოს უფროსი—**თხელიძე**

„კომუნისტის“ დროშა—ტფილისის დეპოს

გუშინ საღამოს შესძლო ტფილისის სავაგონო დეპოს დამკვრელთა კონფერენცია.

კონფერენციაზე მოხსენებით პირველი კვარტალის შედეგების შესახებ გამოვიდა დეპოს უფროსი ამხ. **პ. თხელიძე** და სავაგონო დეპოების კონკურსის შედეგების შესახებ — ამიერ-კავკასიის რკ. გზის სავაგონო დარგის უფროსი—საგზაო-საკონკურსო ჟიურის თავმჯდომარე ამხ. დ. **ბოგდანოვი.**

მოხსენიების შემდეგ მოხდა „კომუნისტის“ გარდამავალი დროშის საზეიმო გადაცემა. დროშა რედაქციის სახელით ჩააბარა გაზეთის სატრანსპორტო განყოფილების გამგე ამხ. მგალობლიშვილმა და მიიღო დეპოს პარტკოლექტივის მდივანმა ამხ. გ. **მინასოვმა,** რომელმაც მოკუმულ მუშებს, ყიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. ამხ. **მინასოვმა** ასევე აღნიშნა, რომ დეპოს დამკვრელთა კონფერენციამ დაადგინა დაავალოს მიღებულ საპრემიო თანხიდან სამი წითელარმიელი საშუალო ნაწილი იქნეს გამოყენებული ტფილისის სავაგონო დეპოს საუკეთესო დეპოდ გადაქცევის.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდენ დეპოს დამკვრელი მუშები: გელაშვილი, **ასლამაზოვი, მირიმანოვი, კოჭლაშვილი, კუპრაშვილი, ბელიანოვა** და **მაკარაშვილი.** მათაც ბრწყინვალედ დასტურეს, რომ იბრძოლებენ „კომუნისტის“ დროშის შენარჩუნებისათვის და ტფილისის სავაგონო დეპოს საუკეთესო დეპოდ გადაქცევის.

კონფერენცია საშეფო სამხედრო ნაწილის სახელით მიესალმა ეროვნული არმიელი ამხ. **პოჩკინი** და რაიპროფკავშირის სახელით ამხ. **ლაშქარაშვილი.**

დასასრულ გამოცხადდა დამკვრელების სია, რომლებიც კვარტალური გეგმის წარმატებით შესრულებისათვის წარდგენილი არიან სხვადასხვა გვარ ჯილდოზე, სულ დასაჯილდოებლად წარდგენილია 634 საუკეთესო დამკვრელი.

ამასთან კონფერენციამ დაადგინა დაავალოს მიღებულ საპრემიო თანხიდან სამი წითელარმიელი საშეფო ნაწილიდან იმ აქტიური დახმარებისათვის, რომელსაც ისინი დეპოს უწევენ.

ტფილისის სავაგონო დეპოს დამკვრელები ამუშავებენ კონკურსის ჟიურის დადგენილებას სავაგონო დეპოების კონკურსის შედეგების შესახებ

შაბათობა ტრანსპორტზე

სუფთაა ლიანდაგები

24 აპრილს სადგურ ტფილისის მეურნეობის მუშაკები გამოვიდენ შაბათობაზე. ათასამდე კაცი და ქალი შეიარაღდა ამ დღეს ნიჩბებით, ცოცხებით, წერაქვებით, ჩვრით, მაზუთით და ნავთით, გამოყოფილი იყო ორი სპეციალური მუშა-მატარებელი, რომელთაც ნაგავი უნდა გაზიდონ.

იწყება ბრძოლა სისუფთავისთვის. გაშლილი ფრონტით უტევენ მოლაშქრენი სიბინძურეს და ნაგავს სადგურის ტერიტორიაზე, შენობებში, ლიანდაგებში, საქონლის სადგურის საწყობებში, ჩრდილოეთ და სამხრეთ პარკებში, სადაც ტვირთები უსისტემოდ ყრია.

12 საათზე სადგურის ლიანდაგები უკვე თვრი იცვალა. კრიალებს ისრები, სუფთაა ლიანდაგები, აღარ ჩანს ვაგონებიდან დაყრილი ნაგავი. მაზუთში არეული ტალახად ქცეული მიწა რამდენიმე ადგილს მოუგროებიათ, მას მუშა-მატარებლები ეზიდებიან და ყრიან სადგურის ტერიტორიის მოშორებით. ვაგონს ქვიშას და ხრეშს იქვე იყენებენ ბოლოდმის და ყარსის ჩიხებში.

საღამოს 7 საათისთვის სადგურის ტერიტორიაზე გულის გამახალისებელი სისუფთავე იყო.

საჭიროა ასეთი სისუფთავე საბოლოოდ იქნეს შენარჩუნებული.

ტ.წ.ნი.

გროზულა - გუმგრინის რკინისგზის მეურნეობლოგაზე

ჟუთაისი. 25 აპრილი. (საკორ.). 24 აპრილს ბრწყინულა-გუმბრინის რკინის გზის მშენებლობაზე, წითელი არმიის ქართულმა და რუსულმა ნაწილებმა მოაწყვეს მასობრივი შაბათობა, რომელშიაც 1500 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

გაზ. „კომუნისტის“ და „მუშა და კოლმეურნეს“ ბრიგადამ გამოუშვა ნაბეჭდი ბიულეტენი.

ა.-კ. რკინისგზის მუშაობა 23 აპრილს

გზას დავალებული ჰქონდა ჩაესხა 885 ცისტერნა და დაეტვირთა 897 ვაგონი. ჩაესხა 915 ცისტერნა და დატვირთა 671 ვაგონი. სატვირთო განყოფილებებიდან ლენინაკანის გარდა ვერ ცნობება ვერ შეასრულა დატვირთვის გეგმა. სამტრედიამ 339-ის ნაცვლად დატვირთა 230 ვაგონი და ტფილისისამ 188-ის ნაცვლად—115, ადგილი ქონდა მარცხოს 8 შემთხვევას. მთელ გზაზე გრაფიკის მიხედვით გაეშვა მატარებლის 57 პრო ცენტმა; კერძოთ სამტრედიის განყოფილებაში—85 პროც. და ტფილისისაში — 54 პროცენტმა.

დ. ბოგდანოვი

სავაგონო მეურნეობის გაჯანსაღებისათვის*)

ჩვენ შევეკრიბეთ იმისათვის, რომ შეგვჯამოთ პირველ კვარტალში ჩატარებული მუშაობის შედეგები და დავსახოთ ღონისძიებანი. მეორე კვარტალში უკეთესი მუშაობისათვის.

ა.-კ. რკინისგზის სავაგონო უბნების მუშაობას თუ დავაკვირდებით, უნდა ვთქვათ, რომ მარტი გვიჩვენებს გაუმჯობესებას პირველ ორ თვესთან შედარებით (იანვარი, თებერვალი).

რემონტის ერთერთი ძირითადი სახეა ვაგონების მიმდინარე რემონტი. მაგრამ უბნების უფროსები აქ ყველაზე ნაკლებად ლაპარაკობენ მიმდინარე რემონტში მყოფი დაზიანებული ვაგონების გათვალისწინებულ ნაშთებზე.

ასეთი ვაგონები პირველსავე დღეს უნდა შეკეთდეს და დანიშნულებისამებრ გაიგზავნოს. მაგრამ ეს ყველგან ასე როდი ხდება. ზოგიერთი ამხანაგი გაიტაცა საშუალო რემონტის პროგრამამ მიმდინარე რემონტის ხარჯზე (განჯის, ლენინაკანის, ბაქოს და სხვ. სავაგონო უბანი). უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვმუშაობთ ექსპლოატაციისათვის, რათა ქვეყანას მივცეთ მეტი ვაგონები, ოითაც გავადიდებთ დატვირთვას და გავაუმჯობესებთ სამუშაო ვაგონის შემოქცევას. ამიტომ პირველ რიგში უნდა შეგასრულოთ მიმდინარე რემონტის, ხოლო მეორე მდინარე რემონტს იგი მეტად ცუდად აკეთებს.

სამტრედიის უბნის უფროსს ჩვენ მივეცით მითითებანი მარგანეცისათვის გამოყოფილი შემადგენლობის რემონტის შესახებ. ამ ცოტახნის წინათ ჩვენ შევაძოწმეთ ამ მითითების შესრულება და კვლავ ცუდ მდგომარეობაში ვნახეთ ეს შემადგენლობა.

ხელი უნდა მოვკიდოთ ამ საქმეს და მარგანეცისათვის გამოყოფილი შემადგენლობა კარგ მდგომარეობაში ვიქონიოთ.

მზეთავთა მუშაობა ცუდად მიმდინარეობს, და ამაში დამნაშავეა თითონ სამტრედიის დეპოს უფროსი ამხ. რუხაძეც, რომელიც პასუხისმგებელია როგორც მარგანეცისათვის დანიშნული შემადგენლობისათვის, ისე მზეთავთა მუშაობისათვის.

ავიღოთ ხაშურის სავაგონო უბანი. როცა მე პირველად გამოვიკვლიე ეს უბანი, იქ ძალიან უხეიროდ მუშაობდენ. იქ ვაგონების ოსტატი ჟულიკია. გამოცდილი ოსტატია, მაგრამ თვალისამბევია. მას უკანასკნელი გაფრთხილება მიეცა.

ბუქსების წვის გამო ვაგონების ახსნის შემთხვევების შემცირების საქმე ამ უბანზე მოიკოჭლებს. ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ, აგრეთვე უნდა გავაუმჯობესოთ ვაგონების მსინჯავთა მუშაობა.

ბაქოს უბანი ამჟამად ცუდად როდი მუშაობს. ბაქოში **პილიპენკოს** დანიშვნამდე დიდ გარღვევას ჰქონდა ადგილი. პილიპენკომ ხელი მოჰკიდა საქმეს, მოაწყო, გააუმჯობესა მუშაობა და უკეთ დააყენა საქმე. ვიდრე სხვა უბნებზე.

განჯის უბანი ძალიან ცუდად მუშაობს. და ამაში დამნაშავეა მხოლოდ უბნის უფროსი **ერმაკოვი,** იგი გათუბდებად მუშაობს, ვერ ახერხებს უბრძანოს თავის ოსტატებს, რომლებიც ეწევიან ლოთობას, რის გამო ორი ოსტატი უკვე მოვხსენით სამუშაოდან.

მიმდინარე რემონტზე ამხ. ერმაკოვმა არაფერი არ იცის, ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევს. მზეთავების მხრივაც მდგომარეობა ცუდია.

სამგზავრო მატარებლებს ვაგონებს მსინჯავები მხოლოდ მატარებლის გასვლის წინ ათვალიერებენ. ამხ. ერმაკოვი ცუდად უწევს ხელმძღვანელობას უბნის მუშაობას.

ლენინაკანში ამხ. პილიპენკოს მუშაობის დროს ეს უბანი მეორე ადგილზე იყო. როცა პილიპენკო ბაქოში გადავიდა, ხოლო ლენინაკანში დარჩა მისი მოადგილე **კოტლიაროვი,** საქმე ჩაშალა.

ვაგონებს რემონტიდან დიდი დეფექტებით უშვებენ და დეფექტებითვე აგზავნიან საზღვარზე. რემონტის ხარისხი ცუდია.

ჯულფაში ვაგონების ოსტატი უვარგისია. ლენინაკანის საწყობში მოიპოვება საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები, რომლებიც ჯულფაში არა აქვთ, მაგრამ იგი ამაზე არ ზრუნავს, და ჩვენ ოჭროთი ვუხდით სპარსეთს ვაგონების დეფექტებისათვის.

ლენინაკანს, რომელსაც წინათ მეორე ადგილი ეკავა, პირველ კვარტალში უკანასკნელი ადგილი უკავია. ახალმა უფროსმა **კიკნაძემაც** ჯერჯერობით ვერ შესძლო უბნის მუშაობის დაყენება ჯეროვან სიმაღლეზე.

საგრძნობლად შემცირდა ვაგონების მოხსნის პროცენტი, მაგრამ მზეთავები ცუდად არიან მომზადებულნი. ეს გამოირკვა მზეთავთა ტექბრძოლის დროს

ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ

ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ.

ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ 1-ᲓᲐᲜ 15-ᲛᲓᲔ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲐᲠᲑᲨ